თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 4 ოქტომბრის სხდომის ოქმი #13

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 22, სტუდენტები – 1, სულ –32 წევრი.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ;

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილებაა: ფაკულტეტის საბჭოს დაემატა ახალი წევრები – პროფ. იოსებ ხელაშვილი და ასოც. პროფ. ნანა კაციტაძე. სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ახალი წევრები.

კენჭისყრაზე დადგა ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრების ლეგიტიმაციის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 4 ოქტომბრის #13 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: **მოისმინეს:** 1991 წელს თსუ კომერციის ფაკულტეტის, 1998 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის და 2009 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთარებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს კომერციის ფაკულტეტის 1991 წლის, ეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წლის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულებმა. კერძოდ:

1. მოქალაქე ლია მეტრეველმა ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის 1991 წლის კურსდამთავრებულ ნატალია მეგუთნიშვილის დიპლომის შეცვლის თაობაზე სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო;

2. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობის 1998 წლის კურსდამთავრებულ ელენე შარიქაძემ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ჯინჭარაძემ დიპლომისა და დიპლომის დანართის დაკარგვის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნატალია მეგუთნიშვილის, ელენე შარიქაძის და გიორგი ჯინჭარაძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

1. ნატალია ჰამლეტის ასული მეგუთნიშვილი 1987 წელს მისაღები გამოცდების შედეგად ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერისტეტის დღის სწავლების საქონელმცოდნეობისა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/713, 25.08.1987).

   კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის ივნისის (უთარიღო) სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №12) და თსუ რექტორის 1991 წლის 17 ივლისის №4/494 ბრძანებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ნატალია ჰამლეტის ასულ მეგუთნიშვილს

მიენიჭა კვალიფიკაცია უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე, სპეციალობით საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია.

1991 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი УВ№813404 (სარეგისტრაციო №01/351) რეგისტრირებულია ნატალია ჰამლეტის ასულ მეგუთნიშვილის სახელზე.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1991 წელს კომერციის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია კომერციის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 12 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია ოქმი ნომერი, ხოლო თარიღი არ არის მითითებული მხოლოდ მეორე კომისიის მიერ წარმოებულ 3 ოქმზე.

პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოქტ. ნ. ა. მეხუზლა; წევრები: პროფ. გ. გ. მიქელაძე, პროფ. შ. კ. ჩოგოვაძე, დოც. გ. ლ. ქობლიანიძე, დოც. შ. გ. გველესიანი, დოც. დ. მ. ბახტაძე)* მიერ 1991 წლის 1 ივლისს წარმოებულია 3 ოქმი. სამივე ოქმის ნომერია №7.

მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ა. თეთრაული; წევრები: პროფ. გ.ს. ნადირაშვილი, დოც. მ. ს. ჩარექიშვილი, დოც. ი. თ. ადეიშვილი, დოც. თ. გ. ჯაში, დოც. ა. ნ. ლაშხია, დოც. ც. ვ. ურუტაძე)* მიერ 1991 ივნისის თვეში წარმოებულია 3 ოქმი. მათ მინიჭებული აქვთ ნომერი №12, მაგრამ არ არის დაფიქსირებული თარიღი.

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ყუფუნუა; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ზ. გრიგოლაშვილი, დოც. ა. ლომიძე, დოც. ა. გაგნიძე, დოც. ა. მელუა)* მიერ 1991 წლის 28 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი და ყველა ნომერია №14.

მეოთხე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. კ. ნ. კოსტანიშვილი; წევრები: პროფ. მ. ი. ღაღანიძე, დოც. გ. ზ. ბერკაცაშვილი, დოც. ჯ. დ. წაქაძე, დოც. მ. ა. ტოგონიძე, დოც. ვ. ა. ამირეზაშვილი)* მიერ 1991 წლის 27 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი და მათი ნომერია №7.

როგორც ჩანს, სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის უთარიღო ოქმებს. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოიძია 1991 წლის კალენდარი და განიხილა 1991 წელს წარმოებული კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები. წარმოდგენილი ოქმებიდან ჩანს, რომ კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ სხდომა ჩაატარა 1991 წლის 1 ივლისს (დღე - ორშაბათი), №3 სახელწმიფო საგამოცდო კომისიამ - 1991 წლის 28 ივნისს (დღე - პარასკევი) და №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ - 1991 წლის 27 ივნისს (დღე - ხუთშაბათი). მოძიებული ინფორმაციით და იმ პერიოდის სამუშაო გრაფიკით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ სხდომა ჩაატარა 29 ივნისს (დღე - შაბათი).

2. **ელენე ჯუმბერის ასული შარიქაძე** 1993 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის სწავლების ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობაზე (№4/642, 11.08.1993).

ეკონომიკის ფაკულტეტის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომრო) და თსუ რექტორის 1998 წლის 1 ივლისის №4/499 ბრძანებით ეკონომიკის

ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსამთავრებულ ელენე შარიქაძეს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობით და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

1998 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებითი АН №00940 (სარეგისტრაციო №01/509) რეგისტრირებულია ელენე შარიქაძის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ 1998 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე წარმოებულია 50 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, ხოლო ოქმის ნომრები დაფიქსირებულია 24 ოქმზე. ოქმებიდან ჩანს, რომ ექვსი კომისიის მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი, კერძოდ, ბაკალავრიატის დღის, საღამოს, დაუსწრებელი სწავლების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების სხვადასხვა სპეციალობები.

პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: კარლო ღურწკაია; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გიორგი ადეიშვილი, გრიგოლ თოდუა, ბიკენტი გაბიძაშვილი, რევაზ გოგოხია, მურმან ტურავა, ირინა გოგორიშვილი, ომარ ჩადუნელი, ფრიდონ ბურდული)* მიერ 1998 წლის 22 მაისს წარმოებულია 5 ოქმი. ყველა ოქმი დათარიღებული და დანომრილია.

მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვლადიმერ ახალაია; წევრები: ოთარ საღარეიშვილი, პარმენ ლემონჯავა, მირიან ტუხაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ნაზი სულავა, გურნაზ ერქომაიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ჰენრი ყარაშვილი)* მიერ 1998 წლის 3 ივნისს წარმოებულია 9 ოქმი. წარმოდგენილ ოქმები უნომროა.

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შალერი ბენია; წევრები: გივი გამსახურდია, ივანე გიგოშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, შოთა ქისტაური, პარმენ ბერიშვილი, თამარ გამსახურდია, ნოდარ ბერძენაძე)* მიერ 1998 წლის 4 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი, რომელთაგან ერთი უნომროა.

მეოთხე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: მიხეილ ჭკუასელი; წევრები: გივი გამსახურდია, ივანე გიგოშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, ავთანდილ ერგემლიძე, თამარ ციგროშვილი, ლეილა ღუდუშაური, რიმა მამალაძე)* მიერ წარმოებულია 7 ოქმი: 1998 წლის 4 ივლისს - 1 ოქმი და 10 ივლისს - 6 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ნომერი.

მეხუთე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: მიხეილ ჯიბუტი; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გრიგოლ თოდუა, ბიკენტი გაბიძაშვილი, ომარ ჩადუნელი, ამირან ჯიბუტი, გიორგი მაზიაშვილი, ელენე ხარაბაძე, მერაბ აბდალაძე)* მიერ 1998 წლის 9 ივლისს წარმოებულია 5 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ნომერი.

მეექვსე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ოთარ საღარეიშვილი; წევრები: პარმენ ლემონჯავა, იური ანანიაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ზურაბ გალდავა, დავით ჯაბიძე, ნათელა ლაცაბიძე, ჰენრი ყარაშვილი)* მიერ 1998 წლის 13 ივლისს წარმოებულია 7 ოქმი. არცერთი ოქმი არ არის დანომრილი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის 29 მაისის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი მეექვსე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმების შესახებ. ამჟამად, განვიხილავთ მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმებს. დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის

(გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნად ასო „პ“-ს დამატება.

3. **გიორგი ჯინჭარაძე** 2004 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საბირჟო საქმე და ელექტრონული ვაჭრობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2005-2006 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთა სპეციალობებზე გადანაწილების შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 31 ივლისის №757/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაუქმდა 2005-2006 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთათვის აქამდე არსებულო ყვალე სპეციალობა და მესამე კურსის სტუდენტები გადანაწილდნენ ორ სპეციალობაზე: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე. სწორედ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაში იქნა გაერთიანებული მარკეტინგის სპეციალიზაცია, რომელშიც შევიდა საბირჟო საქმის სპეციალობა.

2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში საბაკალავრო პროგრამის დასრულების მიზნით თვითდაფინანსებით მიეცა სწავლის გაგრძელების უფლება და დარეგისტრირდა, როგორც მეცხრე ისე მეათე სემესტრის სტუდენტად (ბრძანება №1304/01-04, 26.09.2008; და №504/01-04, 20.03.2009).

თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის 21 სექტემბრის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი №2) **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ჯინჭარაძეს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009).*

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№002580 (სარეგისტრაციო №01/400831) რეგისტრირებულია გიორგი ჯინჭარაძის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა არქივიდან მიღებული 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილ ოქმების დანართებში არ იძებნება გიორგი ჯინჭარაძის გვარი, ამიტომ მიზანშეწონელია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წლის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილაბაში არსებული ინფორმაცია. თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ

ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნატალია ჰამლეტის ასული მეგუთნიშვილი) „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 29 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№12);***
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 29 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№12);***
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 29 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№12).***

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ა. თეთრაული; წევრები: პროფ. გ.ს. ნადირაშვილი, დოც. მ. ს. ჩარექიშვილი, დოც. ი. თ. ადეიშვილი, დოც. თ. გ. ჯაში, დოც. ა. ნ. ლაშხია, დოც. ც. ვ. ურუტაძე)* მიერ 1991 წლის ივნისის თვეში წარმოებულ სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის სხდომის (№12) ოქმებში *(იხ. 1991 წლის ივნისის თვეში კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1998 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის /კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№5/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№6/ჰ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფი-კაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№7/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№8/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ელენე შარიქაძე) „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 3 ივნისის სახელწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№9/3***.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1998 წელს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 3 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

3. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მითებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ჯინჭარაძის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 27 ნოემბერი*** და ნომრად ***№2333/3***.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი.

მშვენიერაძის წერილები, რის საფუძველზეც საბჭოს წინაშე ის ითხოვს შუამდგომლობას, მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 4 კურსდამთავრებულს: თამარ ჩინჩალაძეს, ნანა ცაგარეიშვილს, კახაბერ ცერცვაძეს და ნონა ძალამიძეს (დიპლომი ჩვეულებრივი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოთ **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ჩინჩალაძე თამარ 57001050875
2. ცაგარეიშვილი ნანა 01017045175
3. ცერცვაძე კახაბერ 01008053872
4. ძალამიძე ნონა 62005029059

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, რის საფუძველზეც საბჭოს წინაშე ის ითხოვს შუამდგომლობას, მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ნათია მეტრეველს (დიპლომი წარჩინებითი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს **ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს

დიპლომი წარჩინებითი:

მეტრეველი ნათია 01027060759

მოისმინეს: თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის და ეკონომიკის ფაკულტეტის 2001 და 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

1. თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№6098/29, 16.09.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ **დავით ჯინჯოლიასთვის** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაკონკრეტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ დავით რეზოს ძე ჯინჯოლია 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/650, 06.08.1997).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №7) სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დღის სწავლების შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით</u>, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 27 ივლისის №4/731 ბრძანებით მიენიჭა <u>შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u>.

2001 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი (B №06351, სარეგისტრაციო №01/199) რეგისტრირებულია დავით ჯინჯოლიას სახელზე,

რომელშიც აღნიშნულია: **„დავით ჯინჯოლია 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე და 2001 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დავით ჯინჯოლიას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“.**

დავით ჯინჯოლიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№7, 18.06.2001) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/731, 27.07.2001) მინიჭებულ ხარისხთან.

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №7 და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით“* ნაცვლად მიენიჭოთ *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით“*.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მართვის კვალიფიკაცით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მართვის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმი №7, 18.06.2001)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2. თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№5724/29, 30.08.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ზურაბ რუხაიას** დიპლომის დანართი. დიპლომის დანართის მომზადებისთვის საჭიროა მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ზურაბ რუხაია 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფასიანი განყოფილების ინფორმატიკა-ბიზნესში სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების ინფორმატიკა-ბიზნესში სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ზურაბ რუხაიას მენეჯმეტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის 2005 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ინფორმატიკოს-ბიზნესმენის კვალიფიკაციით</u>, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 27 ივლისის №4/678 ბრძანებით მიენიჭა <u>ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u>.

წარმოდგენილი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული კვალიფიკაცია და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული ხარისხი არ არის შესაბამისობაში. ამიტომ ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 22 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №1 და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკოს ბიზნესმენის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოთ ***„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკოს ბიზნესმენის კვალიფიკაციით“***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ ზურაბ რუხაიას მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკოს ბიზნესმენის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკოს ბიზნესმენის კვალიფიკაციით“***.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯემენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №1, 22.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

3. თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№5775/29, 01.09.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ალექსანდრე რევიას** დიპლომის დანართის მომზადება, რისთვისაც აუცილებელი გახდა მისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ალექსანდრე რევია 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დასწრებული სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ალექსანდრე რევიას ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსების“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) და თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით (BH №000427, სარეგისტრაციო №01/2336) რეგისტრირებულია ალექსანდრე რევიას სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ალექსანდრე რევია 2001**

წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ალექსნდრე რევიას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.

ალექსანდრე რევიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსების“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5 და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსების“ სპეციალობის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ ალექსანდრე რევიას მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსების“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

4. თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი.

მშვენიერაძის წერილი (№6171/29, 19.09.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი კავსაძისთვის** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი კავსაძე 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №5) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების სპეციალობის კურსდამთავრებულ გიორგი კავსაძეს მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით</u> და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში გიორგი კავსაძის სახელზე რეგისტრირებული დიპლომში (B №002403, სარეგისტრაციო №01/3808) აღნიშნულია, რომ **„გიორგი კავსაძე 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით წარმოების ეკონომიკა და მართვა. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით გიორგი კავსაძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.**

გიორგი კავსაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5 და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის

ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი კავსაძეს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ანკეტა–კითხვარი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მისაღებ სტუდენტთა შემდეგი რაოდენობები:

პროფესიული პროგრამები (საგნობრივი):

1. პროგრამა – ტურიზმის მენეჯმენტი, მეხუთე საფეხური, 15 ადგილი (თბილისი);
2. პროგრამა – აგროლოჯისტიკის ოპერატორი, მეოთხე საფეხური– 30 ადგილი (ქუთაისი);
3. პროგრამა – აგროლოჯისტიკის ოპერატორი, მეხუთე საფეხური – 10 ადგილი (ქუთაისი).

პროფესიული პროგრამები (მოდულური):

1. სასტუმრო საქმის სპეციალისტი - მეოთხე საფეხური - 10 ადგილი (თბილისი);
2. საბაჟო საქმის სპეციალისტი - მეხუთე საფეხური - 10 ადგილი (თბილისი);
3. საბაჟო საქმის სპეციალისტი - მეხუთე საფეხური - 20 ადგილი (ქუთაისი);
4. შემფასებელი - მეოთხე საფეხური - 10 ადგილი (თბილისი);
5. შემფასებელი - მეხუთე საფეხური - 20 ადგილი (ქუთაისი);
6. ტუროპერატორი - მეხუთე საფეხური - 10 ადგილი (თბილისი);
7. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი - მეხუთე საფეხური - 10 ადგილი (თბილისი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი)

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნ. საღარეიშვილის სწავლის საფასურში შეღავათის შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ნინო საღარეიშვილი, რომელიც მუშაობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უფროს სპეციალისტად, ითხოვს სწავლის საფასურში შეღავათს არსებული რეგულაციების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნ. საღარეიშვილის სწავლის საფასურის 50%–ანი შეღავათი არსებული რეგულაციების მიხედვით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ე. ზარანდიას სწავლის საფასურში შეღავათის შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ერეკლე ზარანდია, რომელიც მუშაობს თსუ ადმინისტრაციაში, ითხოვს სწავლის საფასურში შეღავათს არსებული რეგულაციების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ე. ზარანდიას სწავლის საფასურის 50%–ანი შეღავათი არსებული რეგულაციების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე